პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

ქ. ბათუმი _____ იანვარი, 2026 წელი

ქალაქ ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N124 / წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი IX ჩიხი N4 / წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N124ა / ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N126 / დასახლება სარფში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.36.26.867, 05.36.26.950, 05.36.26.329, 05.36.26.047) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N124 / წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი IX ჩიხი N4 / წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N124ა / ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N126 / დასახლება სარფში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.36.26.867, 05.36.26.950, 05.36.26.329, 05.36.26.047) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ე.წ. თეთრი კარკასული მდგომარეობით გადასაცემი ფართის ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე დადგენილი თვითღირებულების შესაბამისად. საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის ფართი განისაზღვროს საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის არაუმეტეს 4%-ის ოდენობით;

3. განემარტოს შპს ,,ლიცს'' (ს/N 448404423), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტში გაითვალისწინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2025 წლის 23 დეკემბრის MIA 0 25 04284073 წერილით დადგენილი პირობები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2025 წლის 16 დეკემბრის N01-01-10/7802 წერილით დადგენილი პირობები; სსდ ,,საავტომობილო გზების დეპარტამენტის'' 2025 წლის 25 დეკემბრის MOI - RDN2-11/18126 წერილით დადგენილი პირობები.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ. N124/წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი IX ჩიხი N4/ / წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ. N124ა/ ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ.N126/დასახლება სარფში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.36.26.867, 05.36.26.950, 05.36.26.329, 05.36.26.047) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ. N124/წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი IX ჩიხი N4/ / წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ. N124ა/ ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ. N126/დასახლება სარფში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.36.26.867, 05.36.26.950, 05.36.26.329, 05.36.26.047) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

განმცხადებელია შპს ,,ლიცი'' (ს/N448404423), მოთხოვნილია ქალაქ ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ. N124/წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი IX ჩიხი N4/ / წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ. N124ა/ ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ. N126/დასახლება სარფში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.36.26.867, 05.36.26.950, 05.36.26.329, 05.36.26.047) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

საპროექტო მიწის ნაკვეთებს წარმოადგენს ს/კ 05.36.26.867, 22.30.01.014, ფართობით 2370,00 კვ.მ. ობიექტის ფუნქცია-სასტუმრო. დადგენილია სიმაღლის პარამეტრის ცვლილება 26 მეტრიდან 73 მეტრამდე. განაშენიანების მაქსიმალური სართულიანობა- 23 სართული +ტექნიკური სართული. ▪ ავტოსადგომების რაოდენობა: 80 ავტოსადგომი, მიწისზედა და მიწისქვეშა, მათ შორის მექანიზირებული, ორიარუსიანი.

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ე. წ. თეთრი კარკასული მდგომარეობით გადასაცემი ფართის ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე დადგენილი თვითღირებულების შესაბამისად. საცხოვრებელი ბინა ერთეულ(ებ)ის ფართი განისაზღვროს საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის არაუმეტეს 4%-ის ოდენობით;

ინიციატორი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტში გაითვალისწინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2025 წლის 23 დეკემბრის MIA 0 25 04284073 წერილით დადგენილი პირობები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2025 წლის 16 დეკემბრის N 01-01-10/7802 წერილით დადგენილი პირობები; სსდ ,,საავტომობილო გზების დეპარტამენტის'' 2025 წლის 25 დეკემბრის M O I - R D N 2-11/18126 წერილით დადგენილი პირობები.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ. N124/წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი IX ჩიხი N4/ / წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ. N124ა/ ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი ქ. N126/დასახლება სარფში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: 05.36.26.867, 05.36.26.950, 05.36.26.329, 05.36.26.047) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან;

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ **გიორგი კილაძე**